ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2416348

ნომერი: AR1371419

თარიღი : 18.01.2016

გაცემის თარიღი : 09.02.2016

გაცნობის თარიღი : 09.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გუდაუთის ქუჩა N7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა კიკალეიშვილი პ/ნ 01009014841
- ი. ჭავჭავაძის გამზ. N37ლ

ორგანიზაცია:

- შპს "იბერკომპანი" კოდი: 211358181

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.03.2014 წლის №1129074 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 18.01.2016 წლის AR1371419 განაცხადით მომართა ბექა კიკალეიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 05.03.2014 წლის №1129074გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 05.03.2014 წლის №1129074 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში , გუდაუთის ქუჩა N7–ში საწყობის განთავსების მიზნით დადგინა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, აქვე განგიმარტავთ რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და ნებართვის გაცემა არ მომხდარა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის №882015697461, მომზადების თარიღი: 21/12/2015წ. 11:39:45) თანახმად, აღნიშნული ფართი (საკადასტრო კოდი: 01.13.05.004.227) , მდებარე: ქ. თბილისში, გუდაუთის ქუჩა N7–ში წარმოადგენს შპს „იბერკომპანი“ საკუთრებას, ხოლო მასზე ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს ბექა კიკალეიშვილი.

დღეისათვის, მესაკუთრე ითხოვს სამსახურის 05.03.2014 წლის №1129074 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან, აღარ აქვს აღნიშნული პირობების საფუძველზე, ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აღარ აქვს სამსახურის მიერ გაცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ბექა კიკალეიშვილის 18.01.2016 წლის AR1371419 განაცხადი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.03.2014 წლის №1129074 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge